International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 4, Issue 1

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/USGH3498

Analysis of the Principle of Proportionality and the Legimetric Method in Juvenile Justice

Salome Guliashvili[1]
PhD student, Caucasus International University

A B S T R A C T

The scientific work is innovative for the legal, scientific space. On the one hand, it is analyzed independently from each other about the same proportionality of the principle in juvenile justice - proportionality, as the norm-principle of juvenile justice, which is a norm that can be taken into account in any decision made to a minor, and on the other hand, it is discussed about the legitimetric method and its essence and purpose among the research methods are discussed, after which the relationship between the principle of proportionality and the legitimate method is discussed in juvenile justice. More specifically, the issues are discussed in such a way that, as a result, it is shown that legimetry is part of the principle of proportionality in a way, when analyzing any legal norm or procedure in juvenile justice, everything is evaluated by means of the principle of proportionality, that it is a kind of "unacceptable" and "unreasonable" expression, in which the juvenile Interests and policies of the state are cumulatively considered to achieve one main goal, which is called justice. On the other hand, the main goal of evaluating the issue with the legitimetric method is to make a fair decision and in this way to achieve the goal of justice. The content side of the paper is a kind of chain of logically connected topics, through which an innovative conclusion is made, according to which the principle of proportionality in juvenile justice, in turn, is a principle in its own right, however, at the same time, after analyzing its content side and considering the essence of the legitimate method, we can conclude, That said principle is a prerequisite for the "variety" of the legimetric method and the fairest punishment for the minor through it, thus achieving the essence of the principle of proportionality and the purpose of the legimetric method.

Keywords: *Quantification, Law moderation, Justice, Proportionality.*

[1] salome.guliashvili@ciu.edu.ge

თანაზომიერების პრინციპისა და ლეგიმეტრიული მეთოდის ანალიზი იუვენალურ იუსტიციაში

სალომე გულიაშვილი
დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

სამეცნიერო ნაშრომი ინოვაციურია იურიდიული სამეცნიერო სივრცისათვის. ერთი მხრივ, გაანალიზებულია თანაზომიერების, იგივე პროპორციულობის, როგორც იუვენალური იუსტიციის ნორმა-პრინციპი, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილებისას მხედველობაშია მისაღები და მეორე მხრივ, განხილულია ლეგიმეტრიული მეთოდი, მისი არსი და დანიშნულება კვლევის მეთოდებს შორის, რის შემდგომაც საუბარი შეეხება სწორედ თანაზომიერებისა და ლეგიმეტრიულ მეთოდებს შორის კავშირს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ლეგიმეტრია, ერთგვარად თანაზომიერების პრინციპის ნაწილია. იუვენალურ იუსტიციაში, ნებისმიერი საკანონმდებლო ნორმისა თუ პროცედურის გაანალიზებისას, ყველაფერი ფასდება თანაზომიერების - პროპორციულობის პრინციპის საშუალებით, რომ ეს ერთგვარი „უნდასმიერი“ და „მინდასმიერი“ გამოხატულებაა, რაშიც არასრულწლოვნის ინტერესები და სახელმწიფოს პოლიტიკა კუმულაციურად გათვალისწინებულია ერთი მთავარი მიზნის მისაღწევად, რასაც სამართლიანობა ეწოდება. თავის მხრივ კი, ლეგიმეტრიული მეთოდით საკითხის შეფასების უმთავრესი მიზანი სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაა და ამ გზით სამართლიანობის მიზნის მიღწევა. ნაშრომის შინაარსობრივი მხარე ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში მყოფი თემების ერთგვარი ჯაჭვია, რომლის საშუალებითაც კეთდება დასკვნა, რომლის თანახმადაც, იუვენალურ იუსტიციაში არსებული თანაზომიერების პრინციპი, თავის მხრივ, მისი თავისთავადი მნიშვნელობით პრინციპია, თუმცა, ამავდროულად, მისი შინაარსობრივი მხარის ანალიზითა და ლეგიმეტრიული მეთოდის არსის განხილვის შემდეგ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული პრინციპი ერთგვარად, ლეგიმეტრიული მეთოდის „ნაირსახეობას“ წარმოადგენს და მისი საშუალებით არასრულწლოვნის მიმართ მიღებული ყველაზე სამართლიანი გადაწვეტილების წინაპირობაა, რითაც მიღწეულია თანაზომიერების პრინციპის არსიც და ლეგიმეტრიული მეთოდის დანიშნულებაც.

საკვანძო სიტყვები: *კვანტიფიკაცია, სამართალმზომელობა, სამართლიანობა, პროპორციულობა.*

1. შესავალი

საქართველო სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოა, ქვეყნის ურყევ ნებად განსაზღვრულია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა,[2] რაც სამართლებრივი სახელმწიფოს პირველად ფუნქციად მიიჩნევა. უფლებების შეზღუდვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებშია ნებადართული. კანონმდებლობაში არსებული ნორმების პრაქტიკაში გამოყენებისას თანაზომიერების, იგივე პროპორციულობის პრინციპის დაცულობა აუცილებელია, ვინაიდან იგი გარანტია სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისა. ყველა ის ღონისძიება, რაც დასახული მიზნის მისაღწევად გამოსადეგი და აუცილებელი არ არის, წინააღმდეგეობაშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან.[3]

საყოველთაო სამართლებრივ პრინციპებს შორის თანაზომიერების პრინციპი მოიაზრება, როგორც ადამიანის უფლებების შეზღუდვის მაკონტროლებელი და განმსაზღვრელი პრინციპი,[4] მით უფრო, როდესაც საუბარია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე. აღნიშნული გულისხმობს, რომ არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა თანაზომიერი უნდა იყოს ჩადენილი ქმედების და მისი ინდივიდუალური მახასიათებლების. თანაზომიერების პრინციპი სამართლის ყველა დარგში არსებობს, მაგრამ საქართველოს 2015 წლის კანონში „არასრულწლოვანთა მართლსამჯულების კოდექსი“, იგი პრინციპის დონეზე განსაზღვრული ნორმაა, რომლითაც აღნიშნულ დარგში არსებული ყველა ნორმისა და ქმედების ამ პრინციპის დაცვით განხილვა თეთრით შავზეა ინკორპორირებული.

სწორედ, ამიტომ არის საინტერესო იუვენალურ იუსტიციაში არსებული თანაზომიერების პრინციპის განხილვა ლეგიმეტრიასთან მიმართებით. სამართალში ყოველივეს განმარტება სამართლის მეთოდების საშუალებით ხორციელება. ერთ-ერთი ინოვაციური სამართლის მეთოდია ლეგიმეტრია - მეცნიერება სამართალმზომელობის შესახებ. იგი ახალშობილი ინსტიტუტია და მის არსში ერთგვარად დევს თანაზომიერების პრინციპი.

---

[2] საქართველოს კონსტიტუცია, პრეამბულა <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [ბოლო წვდომის თარიღი: 07 იანვარი, 2024 წელი];

[3] ოპერმანი, თ., კლასენი, კ., ნეთესჰაიმი, მ., (2021). ევროპული სამართალი, თბილისი, 245;

[4] გაბრიჩიძე, გ., თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში, კორკელია, კ., (რედ.) (2006). ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. თბილისი, 76.

ნაშრომის მიზანია აჩვენოს, თუ რა მიმართებაა თანაზომიერების ნორმა-პრინციპსა და ლეგიმეტრიულ მეთოდს შორის. თავის მხრივ, თანაზომიერების პრინციპის დაცულობა არასრულწლოვნის მიმართ მიღებული ყველა გადაწყვეტილებისას აუცილებელია, რაც გარანტია არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილების. ნაშრომში დასახული მიზნის მისაღწევად, თავდაპირველად, დამოუკიდებლადაა განხილული თანაზომიერების პრინციპის მნიშვნელობა იუვენალურ იუსტიციაში. ამის შემდგომ კი, გაანალიზებულია ინოვაციური კვლევის მეთოდი - ლეგიმეტრია და ნაჩვენებია მისი დანიშნულება სამართლის ამა თუ იმ დარგის ანალიზისას.

ნაშრომში განხილული საკითხი აქტუალურია, ვინაიდან იუვენალური იუსტიციის განვითარება და მასში მოაზრებული საკითხების თაობაზე მსჯელობა მნიშვნელობას არ კარგავს, მით უფრო, როდესაც იუვენალური იუსტიციის პრინციპი და კვლევის თანამედროვე ინოვაციური მეთოდი - ლეგიმეტრია ერთმანეთთან შინაარსობრივ კავშირშია დანახული და წარმოჩენილი. ეს კი ნაშრომს სძენს მნიშვნელობას, წარმოაჩენს თემის აქტუალურობასა და დანიშნულებას, რომ სამომავლოდ, მეცნიერ-იურისტები, აღნიშნულით მეტად დაინტერესებიან.

2. მასალები და მეთოდები

სტატიაზე მუშაობისას შესწავლილი და გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურა, როგორც ქართული, ასევე, უცხოენოვანი ნაშრომები, სასამართლო გადაწყვეტილებები და ნორმატიული აქტები. ნაშრომისთვის რელევანტური საკითხები განხილულია ლოგიკურ ჯაჭვად და მათი გაანალიზების შემდეგ საკითხისადმი ახლებური მიდგომაა ჩამოყალიბებული. აღსანიშნავია, რომ ლეგიმეტრიულ მეთოდთან დაკავშირებით მწირია როგორც ქართული, ისე, უცხოენოვანი წყაროები. ამ მხრივაც, თემაზე მუშაობა გამოწვევაა და საინტერესო. ამასთან, ლეგიმეტრიასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურას წარმოდგენილი ნაშრომიც დაემატება და იგი ერთგვარად მეგზურობას გაუწევს აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ იურისტებს.

ნაშრომზე მუშაობისას, თემების განხილვისა და დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებულია ლოგიკური, ისტორიული, ტელეოლოგიური, სისტემური და პრობლემური ანალიზის მეთოდები. ასევე, კვლევის დედუქციური მეთოდის საშუალებით, ზოგადი მსჯელობიდან შესაძლებელი გახდა ახალი, კონკრეტული დასკვნების გამოტანა, რაც, ვფიქრობ, ნაშრომს, მისი ორიგინალობის კუთხით, მნიშვნელობას სძენს.

3. შედეგების განხილვა

საკვლევი თემის შედეგად:

- გაანალიზდა თანაზომიერების იგივე პროპორციულობის პრინციპის მნიშვნელობა იუვენალურ იუსტიციაში, მისი როლი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვისათვის;
- შესწავლილ იქნა ლეგიმეტრიული მეთოდის, როგორც სამართლის ნორმათა სამართალმზომელობითი ინსტიტუტის, როლი სამართლიანობის მიღწევის გზაზე.
- კვლევის განხორციელებისას მიღებული შედეგები მიმართულია სამართლის მეცნიერების განვითარებისაკენ, საკითხით დაინტერესებული პირებისათვის გააზრების ახალი მიმართულების წარმოჩენისაკენ.

ლეგიმეტრია არის ფართო და ამოუწურავი ინსტიტუტი, რომელის დაკავშირებაც სამართლის ამა თუ იმ დარგთან ერთგვარი გამოწვევაა, თუმცა, მისი სამეცნიერო გააზრება მწირი. ნაშრომის ერთ-ერთი მიზანიც ამ ერთგვარად უცხო, თუმცა, ყოველთვის არსებული სამართლის მეთოდით სამეცნიერო წრეების დაინტერესებაა.

სამართლის მთავარი მიზანი სამართლიანობა მიიღწევა. თავის მხრივ, თანაზომიერების პრინციპის დაცვა აუცილებლია სამართლებრივ სახელმწიფოში, რომლის საშუალებითაც, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების საფუძველზე, ყველაზე სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღება, მით უფრო, როდესაც თანაზომიერების პრინციპის არსზე იუვენალურ იუსტიციაში ვსაუბრობთ, სადაც ამ პრინციპის როლი ფასდაუდებელია. საბოლოოდ, ნაშრომში განხილული თანაზომიერების პრიციპისა და ლეგიმეტრიული მეთოდის კავშირი ან/და ერთმანეთის კვეთის დანიშნულება სწორედ სამართლიანობის მიღწევაა.

4. თანაზომიერების პრინციპის არსი და დანიშნულება იუვენალურ იუსტიციაში

თანაზომიერების პრინციპის, იგივე პროპორციულობის პრინციპის არსებობა სამართლებრივ სახელმწიფოში უმნიშვნელოვანესია. ადამიანის უფლებებში ნებისმიერი სახის ჩარევისას, შეზღუდვა ფასდება თანაზომიერების პრინციპის კუთხით. თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ზოგადი მოცემულობით არსებული თანაზომიერების გარდა, მეტი მნიშვნელობითაა იგი იუვენალურ იუტიციაში არსებული, რასაც ადასტურებს მოცემულობა, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფაქტობრივად, ეყრდნობა ორ მთავარ - საუკეთესო ინტერესების

პრიორიტეტულობისა და თანაზომიერების პრინციპებს. აღნიშნულ ორ პრინციპს ერთგვარ „ტყუპ საყრდენ პრინციპებად“ მოიაზრებენ.[5]

თანაზომიერების პრინციპს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ, როგორიცაა პროპორციულობა, შესაბამისი, გონივრული, ზომაზე მეტი.[6] აღნიშნული სამართლებრივი პრინციპი უძველესი დროიდან გვხვდება. მაგალითად, იგი ხამურაბის კანონებში მოიაზრება, როგორც დანაშაულთან თანაზომიერების გამოხატულება.[7]
თანაზომიერების პრინციპი ექსკლუზიურად სამართლის რომელიმე სფეროსთან არაა დაკავშირებული. იგი სამართლის ყველა მიმართულების ინსტრუმენტალური ნორმა-პრინციპია. ადამიანის უფლებათა თეორიასა და პრაქტიკაში თანაზომიერების პრინციპი უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ესაა უფლებების განსჯის დომინანტური ტექნიკა მსოფლიოში.

თანაზომიერების პრინციპი შეიძლება განვმარტოთ, როგორც სამართლებრივი რაციონალურობის ზოგადი სტანდარტი. პროპორციულობის ტესტი არის ადამიანის უფლებების დასაბუთებული დარღვევის მთავარი კრიტერიუმი,[8] რომლის საშუალებითაც უნდა დასაბუთდეს მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობა. თანაზომიერების პრინციპის არსებობა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს უფლების დაცვას, მეორე მხრივ კი, მისი შეზღუდვის შემთხვევაში ჩარჩოებს აწესებს. სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხი, ერთგვარად, იზომება იმით, თუ როგორ მოახერხებს იგი „შეპირისპირებული ინტერესების სამართლიან დაბალანსებას“.[9]

სამართლებრივ სახელმწიფოში არსებობს იმის გონივრული მოლოდინი, რომ ადამიანის უფლებებში ჩარევისას მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანი იქნება, რაც თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიიღწევა - კერძო და საჯარო ინტერესების შეპირისპირებისას ყველაზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების გზით.[10]

---

[5] Emelonye, U. (2014), Proportionality and Best Interests: Calibrating the Twin Pillars of Child Justice in Nigeria. Doctoral thesis. Helsinki, 105.

[6] იზორია, ლ. (2002). ადამიანის უფლებათა შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, კრებულში: კორკელია, კ. (რედ.). ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში. თბილისი, 44;

[7] Emelonye, U. (2014), Proportionality and Best Interests: Calibrating the Twin Pillars of Child Justice in Nigeria. Doctoral thesis. Helsinki, 85;

[8] Matthias, K. (2019). Proportionality and Justification, Herlin-Karnell, E. Klatt, M. (eds), Morales Zuniga, H A. (assistant ed). Constitutionalism justified: Rainer Forst in discourse. Oxford University Press, 24;

[9] საქართველოს საკონტიტუციო სასამართლოს საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველოს“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სასამართლოს მეგობრის 2016 წლის 03 ივნისის Nას719 მოსაზრება, პარ. 7;

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. 19-22.

თანაზომიერების პრინციპის დაცვისას, ასევე, დაცული უნდა იყოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი პროპორციულობა ვიწრო გაგებით, რაც გულისხმობს, სამართლიანი ბალანსის დადგენას შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის,[11] დაცული ინტერესი უნდა აღემატებოდეს შეზღუდულ ინტერესებს.[12] თითოეული კონსტიტუციური უფლება გულისხმობს დასაბუთების უფლებას, თუ როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღებისას პრინციპის მხედველობაში მიღება ფაქტობრივი გარემოებებისა და ბავშვის პიროვნული მახასიათებლების გაანალიზების გზით, რის შემდეგაც მიღებული გადაწყვეტილება ბავშვის კეთილდღეობას და მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებას უნდა ისახვდეს მიზნად. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ბავშვთა შორის სამართლიანობის ჩამოყალიბებისთვის გამოიყენება დეონტოლოგიური პროპორციულობა, რაც გულისხმობს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის სამართლიანი სასჯელის მორალურ და სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება მათ ასაკს და განვითარების დონეს, რაც უზრუნველყოფს მთავარ მიზანს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები იმსახურებენ შემცირებულ სასჯელს.[13]

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების დამნაშავეობა განსხვავდება ზრდასრულებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება ერთნაირი დანაშაული ჰქონდეთ ჩადენილი. დეონტოლოგიური თანაზომიერების თანახმად, ბავშვთა მიმართ დასაშვებია გადახრა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ბრალეულობის შემსუბუქებისკენ.[14]

ამრიგად, თანაზომიერების პრინციპი იძლევა საშუალებას, მოქნილად გამოვიყენოთ დადგენილი წესები და ბავშვთა მიმართ მათი უფლებების ნაკლებად შემზღუდველი გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული. აღნიშნული პრინციპის თანახმად, ბავშვებზე პროპორციულად, მათი კეთილდღეობის შესაბამისად მოპყრობას ავალდებულებს სახელმწიფოებს ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი: „ბავშვთა მიმართ ინსტიტუციური მზრუნველობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათ მიმართ მოქცევა კეთილდღეობის და დანაშაულის პროპორციულად.[15] იგი კონსტიტუციური რანგის პრინციპადაა მოხსენიებული და

[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43;

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/1/704 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-53;

[13] Emelonye, U. (2014), Proportionality and Best Interests: Calibrating the Twin Pillars of Child Justice in Nigeria. Doctoral thesis. Helsinki, 97;

[14] Emelonye, U. (2014), Proportionality and Best Interests: Calibrating the Twin Pillars of Child Justice in Nigeria. Doctoral thesis. Helsinki, 98;

[15] Article 40(4) UN General Assembly. Convention on the Rights of the Child. 20 November 1989, article 40(4) <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-rights-child> [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი].

დამატებით პრინციპად მისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ინკორპორირება გამოკვეთს მის მნიშვნელობას იუვენალური იუსტიციაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-7 მუხლში განმარტებულია აღნიშნული პრინციპის არსი, რომლის თანახმადაც: „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და მის პიროვნებას, ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს“.[16] ამრიგად, თანაზომიერების ჯეროვნად განსაზღვრისთვის ერთიანობაში ფასდება ჩადენილი ქმედების თანაზომიერება და არასრულწლოვნის პიროვნული მახასიათებლები.

თანაზომიერების პრინციპის თაობაზე აღნიშნულია ე.წ. ბეიჯინგის წესებში, გაეროს მინიმალურ სტანდარტებში არასრულწლოვანთა სამართლის ადმინისტრირებისთვის. ამ პრინციპის მთავარი არსი ისაა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ სისხლის სამართლის მექანიზმების ამოქმედებამდე, ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან ერთად არასრულწლოვნის პიროვნული მახასიათებლები უნდა გაანალიზდეს, როგორიცაა მისი სოციალური და ოჯახური მდგომარეობა, მიყენებული ზიანი და მისი მზაობა, აანაზღაუროს იგი და ა.შ.[17] თანაზომიერების პრინციპის დაცვით გადაწყვეტილების მიღებისას იგულისხმება, რომ იგი არის სამართლიანი, რაც მიიღწევა საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და არასრულწლოვნის პიროვნების მახასიათებლების შეფასებიდან გამომდინარე.[18]

თანაზომიერების პრინციპი კონკრეტულ ფაქტობრივ შემადგენლობას მოკლებულია. ყოველი საკითხის გადაწყვეტისას თანაზომიერების პრინციპი დაცულია, თუ მისი ძირითადი სტრუქტურული ელემენტები არაა დარღვეული. კერძოდ, ეს ელემენტებია: ლეგიტიმური მიზანი, გამოსადეგობა, აუცილებლობა და პროპორციულობა.[19]

---

[16] საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, მუხლი 7 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=22> [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი];

[17] United Nations, (2013). Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law Model Law on Juvenile Justice and Related Commentary. New York. 70 <https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Justice_Matters_Involving-Web_version.pdf> [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი]

[18] United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (The Beijing Rules), <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/united-nations-standard-minimum-rules-administration-juvenile> [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი]

[19] ცქიტიშვილი, თ. (2016). სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცის ტენდენციები საქართველოში. გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი, 499;

უფლების შეზღუდვა კონკრეტული საჯარო ლეგიტიმური მიზნის გარეშე დაუშვებელია.[20] ლეგიტიმური მიზნის ერთიანი ფორმულა არ არსებობს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსასაზღვრია ზოგადი და კონკრეტული ლეგიტიმური მიზნები, რომლის დასაბუთებისათვის აუცილებლია დასაბუთდეს სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებაში ჩარევის აუცილებლობა, რაც უნდა წარმოადგენდეს „სახელმწიფოს დაუძლეველ ინტერესს".[21]

იუვენალური იუსტიციისათვის დამახასიათებელი ზოგადი ლეგიტიმური მიზნებია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელება ჰუმანიზმის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების, რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის დაცვით.[22] რაც შეეხება კონკრეტულ ლეგიტიმურ მიზნებს, ისინი ზოგადთან ერთად თანაარსებობენ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვნის თავისუფლების ინტერესს, რაშიც მოიაზრება რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ინტერესები, საზოგადოებაში ინტეგრაცია, ცნობიერების ჩამოყალიბება და სხვა.[23]

ყოველივე აღნიშნული იუვენალური იუსტიციის ლეგიტიმურ მიზნებად უნდა მოვიაზროთ. ლეგიტიმური მიზნის განსაზღვრის შემდეგ, მნიშვნელოვანია დადგინდეს, შერჩეული ზომა არის თუ არა გამოსადეგი, ვინაიდან, იმგვარად შერჩეული საშუალება, რომელიც მიზნის მიღწევას ართულებს, დაუშვებელია.[24]

თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, უფლებაში ჩარევის ნებისმიერი შემთხვევა ლეგიტიმურ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" განმარტებულია, რომ: „თანაზომიერების პრინციპით არა მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლება, არამედ ხელისუფლების სხვა შტოებიც არიან შეზღუდულნი… ერთი მხრივ, ჩარევის სიმძიმისა და მეორე მხრივ, მისი გამამართლებელი

---

[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს №1/2/434 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" პარ. II-11.

[21] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ", II-6;

[22] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი" პროექტზე https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/06/file0012.pdf [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი];

[23] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივნისის №1გ/924-23 განჩინება;

[24] პაატა, ტ. (რედ.) (2013). საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 25 <http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf> [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი];

მიზეზების ერთობლივი აწონ-დაწონვისას უნდა იქნეს დაცული დასაშვებობის ზღვარი“.[25] ლეგიტიმური მიზნის დადგენის შემდეგ უნდა განისაზღვროს, დასახულ მიზანსა და ადამიანის უფლების შეზღუდვას შორის რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი.[26] დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა ადამიანის უფლების უკიდურესი შეზღუდვის ხარჯზე.[27] სამართლებრივი წესრიგი მიზნისა და საშუალების ურთიერთმიმართებაზეა აგებული.[28] საშუალება, რომელსაც სახელმწიფო აარჩევს და რომლითაც ადამიანის უფლებები შეიზღუდება მიზნის მისაღწევად, გარანტირებული უნდა იყოს.

ამის შემდგომ, თანაზომიერების მესამე ელემენტი - აუცილებლობა უნდა შეფასდეს. აუცილობლობის შინაარსი გულისხმობს იმას, რომ გამოყენებული ზომა ალტერნატიულ საშუალებებს შორის ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანი უნდა იყოს.[29] იქ, სადაც ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოსადეგია ნაკლებად მზღუდველი ღონისძიება, სწორედ ამგვარი უნდა იქნეს გამოყენებული. თანაზომიერების პრინციპის მეოთხე ელემენტია პროპორციულობა, რაც გულისხმობს ლეგიტიმური მიზნისა და მისი მიღწევის საშუალების პროპორციულობის დადგენას. ამ მიზნით, შეზღუდული სიკეთისა და შეზღუდვის მიზნის შეფასება უნდა მოხდეს,[30] არც ერთი სამართლებრივი სიკეთის არაგონივრული შეზღუდვა არ უნდა მოხდეს არაპროპორციულად, გონივრული ბალანსის დაცვის გარეშე.[31] ამით უზრუნველყოფილ იქნება ლეგიტიმური მიზნის მიღწევით არსებული სიკეთე და შეზღუდვის საშუალება.

თანაზომიერების პრინციპის გამოყენება საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერებას მოითხოვს. საზოგადოების ყოველი წევრი იმის რელევანტურ მოლოდინშია, რომ

---

[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ პარ. II-37;

[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48.

[27] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60;

[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-31;

[29] პაატა, ტ. (რედ.) (2013). საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 25 http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი];

[30] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის №2/5/879 გადაწყვეტილება „ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. IV-23;

[31] ტუღუში, თ., ბურჯანაძე, გ., მშვენიერაძე, გ., გოცირიძე, გ., მენაბდე, ვ., კოპალეიშვილი, მ. (რედ.) (2013). ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა. თბილისი, 268;

სახელმწიფოს მიერ სიკეთეთა განაწილება სამართლიანი იქნება.[32] კონკრეტული კერძო ინტერესების დაკმაყოფილება, ამავდროულად, უზრუნველყოფს საჯარო ინტერესების დაცვას.[33] არასრულწლოვნის უფლების შეზღუდვისას თანაზომიერების პრინციპის ოთხივე ელემენტი უნდა იყოს დაცული, რაც იქნება გარანტი იუვენალური იუსტიციის ნორმა პრინციპის დაცვის.

აღსანიშნავია, რომ იუვენალურ იუსტიციაში არსებულ თანაზომიერების პრინციპს უფრო მეტი როლი და დანიშნულება აქვს, ვიდრე სამართლის სხვა დარგებში არსებულ თანაზომიერების პრინციპს, უფრო მეტად, შეიძლება ითქვას სიმბოლური, ვინაიდან, საქართველოს კანონში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულდების კოდექსი" განსაზღვრული რომც არ იყოს აღნიშნული პრინციპი, იგი მაინც თავისთავად იარსებებდა, ვინაიდან იგი კონსტიტუციური რანგის პრინციპია და მისი დაცულობა განატირებული უნდა იყოს.

თუმცა, კანონმდებლის ნება მისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ინკორპორირებით ნათელს ხდის, რომ მას განსაკუთრებული როლი აქვს მინიჭებული სამართლის ამ დარგისათვის. იგი იუვენალური იუსტიციის ერთგვარი საყრდენი პრინციპია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპთან ერთად, რომლებზეც დაშენებულია ყველა ნორმა და ქმედება.

5. ლეგიმეტრია, როგორც სამართალმზომელობა

სამართლის შინაარსი და ქმედითობა მორალური და პოლიტიკური ელემენტების ურთიერთქმედებით განისაზღვრება. თუ როგორ მოხდება მათი კვეთის წერტილების დაბალანსება, ეს გარკვეულ შეფასებას, პროპორციულობას, თანაზომიერებას მოითხოვს.[34] უძველესი დროიდან დღემდე, სამართლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სამართლმზომელობაა. ტალიონის პრინციპის სახით არსებული ფორმულა „თვალი

---

[32] იზორია, ლ. (რედ.), კორკელია, კ. (2002). ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში. თბილისი. 46 <https://iuristebi.files.wordpress.com/2011/07/e18390e18393e18390e1839be18398e18390e1839ce18398e183a1-e183a3e183a4e1839ae18394e18391e18390e18397e18390-e18393e18390e183aae18395e18390.pdf> [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი];

[33] ტუღუში, თ., ბურჯანაძე, გ., მშვენიერაძე, გ., გოცირიძე, გ., მენაბდე, ვ., კოპალეიშვილი, მ. (რედ.) (2013). ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა. თბილისი, 225.

[34] უგრეხელიძე, მ., (2016). სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა (ლეგიმეტრიის შესავლისათვის), წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 24;

თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“ ამის ნათელი გამოხატულებაა.[35] სამართალმზომელობას თანამედროვე მეცნიერულ ენაზე „ლეგიმეტრია“ ეწოდება. სამართალმზომელობა და ლეგიმეტრია პირველად მოხსენიებულია ბობ ბიშოპის წიგნში „რეალობის აჩრდილები“.[36] ლეგიმეტრია ახალშობილი კომპლექსური დისციპლინაა სამართლის, მათემატიკისა და ლოგიკის გადაკვეთაზე.[37] აკადემიკოსი მინდია უგრეხელიძე ლეგიმეტრიის შემდეგნაირ განმარტებას გვთავაზობს: „ლეგიმეტრია არის სამართლის მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის სამართალს თვისებრივი მახასიათებლების რაოდენობრივ მაჩვენებლებში გადაყვანის (გამოხატვის) მეშვეობით, სამართლებრივ სიდიდეთა, მდგომარეობათა თუ პროცესების გაზომვის თავისებურებებს სამართლებრივ განზომილებათა შესაბამის სიტემაში (ან მიხედვით)“.[38] ლეგიმეტრიის ანუ სამართალმზომელობის საშუალებით მდიდრდება წარმოდგენა სამართლის ნორმების თაობაზე, მათ შინაარსობრივ დატვირთვაზე, სრულყოფილი ხედვა ყალიბდება ამა თუ იმ საკითხზე. მისი საშუალებით მიზანშეწონილი, მიზანმიმართული და მიზანსწრაფული გზითაა შესაძლებელი სამართლის ამა თუ ნორმის შეფასება.[39]

სამართალი არის ერთი დიდი განზომილება, რომელიც უთვალავი განზომილებისგან შედგება. ისინი ერთმანეთთან ლოგიკურ ჯაჭვად დაკავშირებული სისტემებია. ლეგიმეტრიის მნიშვნელობა შესაძლებელია განვიხილოთ თეორიული და პრატიკული თვალსაზრისით. კერძოდ, თეორიული თვალთახედვით, ლეგიმეტრია ფილოსოფიური ინსტიტუტია, რადგან იგი შეისწავლის სამართლებრივ განზომილებებს და თავად სამართალმზომელობას. პრაქტიკული თვალსაზრისით კი, იგი ერთგვარი სამართლებირი ექსპერტიზაა, რომლის საშუალებითაც, სიდიდეებისა და პროცესების სამართალმზომელობა ხორციელდება.[40] ლეგიმეტრიის მთავარი არსია, სამართალმა უფრო ქმედითად განახორციელოს ყველა თავისი სოციალური ფუნქცია, რომლის საშუალებითაც სამართლის მთავარი მიზანი - სამართლიანობა ყველაზე კარგად იქნება მიღწეული და დაცული.

---

[35] უგრეხელიძე, მ. (2015). სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა, სამეცნიერო ჟურნალი, ქართული პოლიტიკა, სპეციალური გამოცემა, N21, 3;

[36] Bishop, B. (1998). The Shades of Reality: How The New Fuzzy Philosophy Will Change Your World View. Chapter Ten. Legimetry;

[37] უგრეხელიძე, მ. (2015). სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა, სამეცნიერო ჟურნალი, ქართული პოლიტიკა, სპეციალური გამოცემა, N21, 13.

[38] უგრეხელიძე, მ. (2015). სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა, სამეცნიერო ჟურნალი, ქართული პოლიტიკა, სპეციალური გამოცემა, N21, 10;

[39] უგრეხელიძე, მ., (2016). სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა (ლეგიმეტრიის შესავლისათვის), წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 50;

[40] იქვე, 52;

ლეგიმეტრიის მიხედვით რაიმე საკითხის შეფასებისას სამართალმზომელობა უნდა განხორციელდეს ორი მაჩვენებლის მიხედვით, ორი კრიტერიუმის თანაფარდობის საშუალებით. პირველია მორალური ე.წ. „უნდასმიერი“ კრიტერიუმი, რომელიც ორიენტირებულია სამართლიანობის აღდგენაზე. იგი დებულებას ზომავს ზნეობრიობის, სამართლიანობის საშუალებით. მეორე კრიტერიუმი კი პოლიტიკურია - ე.წ. „მინდასმიერი“, მიზანშეწონილობითი კატეგორია. იგი მომავალზე ორიენტირებულია და მისი საშუალებით იზომება, რამდენად სარგებლის მომტანი და მიზანშეწონილია განსახილველი დებულება. აღნიშნული ორი კრიტერიუმის საშუალებით რაიმე დებულების, მოცემულობის დამოუკიდებლად შეფასებების შემდეგ უნდა დადგინდეს მათი ერთმანეთთან ლოგიკური წონასწორობა, თანაფარდობა.[41]

„თუ მორალურმა კომპონენტმა მეტისმეტად იმძლავრა, ხოლო პოლიტიკური შესუსტდა, დიდია შესაძლებლობა, ამის შედეგად დებულება გახდეს სამართლიანი, თუმცა, უსარგებლო. თუკი პოლიტიკურმა კომპონენტმა „დაჩაგრა“ მორალური, მაშინ არსებობს საფრთხე იმისა, რომ დებულება გახდეს საზოგადოების ერთი ნაწილისათვის სარგებლის მომტანი, ხოლო მეორისთვის - უსარგებლო, მჩაგვრელი. ეს ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებსა და ხელს უწყობს პოლიციური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ლეგიმეტრია საკითხის ყოველმხრივი გაზომვის საშუალებას გვაძლევს“.[42]

რაც შეეხება საკითხს, თუ როგორ უნდა გავიგოთ სამართალმზომელობა, ამაში უნივერსალური სახის სამართალმზომელობა უნდა მოვიაზროთ, რაც გულისხმობს როგორც სამართლის მზომელობას, ასევე, სამართლით მზომელობასა და სამართლისათვის მზომელობას - ერთობლიობაში, სამივე ასპექტით.[43]

„სუბსტანციურად, სამართალი მორალის (ზნეობის), პოლიტიკისა და ლოგიკის ერთგვარ შენადნობს, ამალგამას წარმოადგენს“.[44] სამართლისთვის მნიშვნელოვანია სამართლის ამა თუ იმ დარგისთვის დამახასიათებელი ცნებები, იდეები, პრინციპები, ნორმები, ინსტიტუტები, დარგები, სფეროები, დოქტრინები და ა.შ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დასადგენია, თუ რომელი სამართლებრივი სიდიდის „გაზომვაა“ შესაძლებელი, რითაც

[41] მეურმიშვილი, ბ. & გურული, პ. (2019). დამნაშავის შეწყალება ქართულ სისხლის სამართალში -გადასინჯვის მცდელობა, სამართალი და მსოფლიო, N11, 20.
[42] მეურმიშვილი, ბ. & გურული, პ. (2019). დამნაშავის შეწყალება ქართულ სისხლის სამართალში -გადასინჯვის მცდელობა, სამართალი და მსოფლიო, N11, 20;
[43] უგრეხელიძე, მ., (2016). სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა (ლეგიმეტრიის შესავლისათვის), წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 52;
[44] უგრეხელიძე, მ. (2015). სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა, სამეცნიერო ჟურნალი, ქართული პოლიტიკა, სპეციალური გამოცემა, N21, 7;

ყალიბდება სამართალმზომელობითი ანუ ლეგიმეტრიული სფერო. სამართლის დარგში მსოფლიო მასშტაბით შეუქცევადი პროცესია თვისებრივი მახასიათებლების რაოდენობრივ მაჩვენებლებში გადაყვანის, გაზომვისა და გამოსახვის აუცილებლობა. აღნიშნული „კვანტიფიკაციის“ სახელწოდებითაა ცნობილი, რაც სამართალში ორ დიდ სფეროს მოიცავს, როგორიცაა შესაძლო კვანტიფიკაციის სფერო და მეორე - აუცილებელი კვანტიფიკაციის სფერო.

შესაძლო კვანტიფიკაციის სფერო სამართალმზომელობით ანუ ლეგიმეტრიულ ქმედებებს გულისხმობს ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს. სამართლის ნებისმიერი ნორმა ორი მთავარი ელემეტისაგან შემდგარი ერთიანობა, როგორებიცაა: ნორმის ტექსტი და ნორმის აზრი (გონი, სული), რაც ამ ნორმაშია ჩადებული. ამ ორ ელემენტს შორის თუ შეუსაბამობა იჩენს თავს, მაშინაა აუცილებელი ურთიერთშეჯერება, რაც სამართალმზომელობის საშუალებით უნდა განხორციელდეს.[45] აუცილებელი კვანტიფიკაციის სფერო კი იმგვარ მოცემულობათა ერთობლიობაა, რომელთა ლეგიმეტრიული განზომილების გარეშე სამართალი ვერ იფუნქციონირებს. ლოგიკურია, რომ შესაძლო კვანტიფიკაციის არე უფრო მეტი შეიძლება იყოს თავისი მოცულობით, ვიდრე აუცილებელი კვანტიფიკაციის სივრცე. სამართალმზომელობა გარკვეული პროპორციებისა თუ თანაფარდობათა დადგენაა კონკრეტულ სამართლებრივ სივრცეში. თუმცა, საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, რომ ერთია იცოდე, თუ რა საჭიროებს სამართლებრივი თვალსაზრისით გაზომვას და მეორეა, თუ როგორ, რა სამართლებრივი საშუალებით შეიძლება სამართალმზომელობის მიღწევა. მკაფიოდ შეიძლება ვისაუბროთ ორ სფეროზე, სადაც ლეგიმეტრიული მეთოდის გამოყენება მათემატიკურად შეუიარაღებელი „გონების თვალითაა“ შესაძლებელი. კერძოდ, პირველია ყველა ის სიდიდე, პროცესი ან მდგომარეობა, რომლებიც ურთიერთგაზომვადი ელემენტებისგანაა შემდგარი; მეორე სფერო კი, ყველა იმ შემთხვევას გულისხმობს, სადაც ანალიტიკური მასალის გაანალიზებაა შესაძლებელი ანუ ერთვარი დახარისხება, ხოლო დახარისხება თავისთავშივე გულისხმობს გაზომვას და, მაშასადამე, სამართალმზომელობას.[46]

ლეგიმეტრიის არსებობა სამართლის სამართლიანობასთან დაკავშირებული საკითხია. ყველა დროსა და ეპოქაში სამართლიანობის მიმართ ინტერესი როგორც ისტორიულად, ისე,

[45] უგრეხელიძე, მ., (2016). სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა (ლეგიმეტრიის შესავლისათვის), წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 35.
[46] უგრეხელიძე, მ., (2016). სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა (ლეგიმეტრიის შესავლისათვის), წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 46-47;

სამართლებრივ-პოლიტიკურად და ეთიკურად, უნივერსალურია.[47] სამართლიანობის შესახებ კი წარმოდგენები ყოველ ისტორიულ ეპოქაში შეესაბამება იმ საზოგადოებრივ წესრიგს, რომელშიც ამა თუ იმ ისტორიულ საზოგადოებას უწევს ცხოვრება. სამართლიანობის, როგორც სოციალურ-ონტოლოგიური ცნების ისტორია პლატონიდან და არისტოტელედან იწყება. პლატონის მიხედვით, სამართლიანობის პრინციპი საფუძველია სახელმწიფოს არსებობისათვის. სამართლიანობის იდეა, უმაღლესი იდეის - სიკეთის თანაზომადია. არისტოტელესთვის სამართლიანობა ნიშნავს კანონისა და სამოქალაქო თანასწორობის პატივისცემას. არისტოტელესთვის სამართლიანობა იმთავითვე თანასწორობასთან ბმაშია, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველას ის უნდა ჰქონდეს მიკუთვნებული, რაც მის პატივს, დამსახურებას და უნარს შეესაბამება.[48]

იმანუელ კანტი, ანტიკურობისა და შუასაუკუნეებისგან განსხვავებით, სამართლიანობას განიხილავს არა სიკეთის გამოხატულებად, არამედ, სოციალური საზოგადოების აუცილებელ თვისებად - ადამიანთაშორისი სამართლებრივი მდგომარეობის ფორმალურ პრინციპად. ჰეგელის მოსაზრებით, სამართლიანი მხოლოდ ის არის, რაც საყოველთაოს ფარგლებში ცალკეული ინდივიდის განსაკუთრებული ინტერესების განხორციელების ხელშემწყობია.[49] საბოლოო ჯამში, კი, შეიძლება ითქვას, რომ ლეგიმეტრიული მეთოდის საშუალებით სამართალმზომელობის გზით ყველაზე სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღება. ამ გზით, სამართალი თავის სოციალურ ფუნქციას აღასრულებს. შესაბამისად, მისი როლი სამართალში განუზომელია.

6. ლეგიმეტრიული მეთოდისა და იუვენალური იუსტიციის ნორმა-პრინციპის - თანაზომიერების პრინციპის კავშირი?!

თანამედროვე იუვენალური მართლმსაჯულების ნორმა-პრინციპად აღიარებულია თანაზომიერების, იგივე პროპორციულობის პრინციპი. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის პარალელურად, თანაზომიერების პრინციპის საშუალებით უნდა მოხდეს არა მხოლოდ ნორმის განმარტება, ასევე, მისი პრაქტიკულად გამოყენება. შესაბამისად, თანაზომიერების პრინციპის გარეშე შეუძლებელია იუვენალური იუსტიცია არსებობდეს. ესაა ის პრინციპი, რომლითაც არასრულწლოვნის

[47] გალდავაძე, ნ., ლომსიანიძე, ე., მოხევიშვილი, თ., & ჭუმბურიძე, ს. (2019). სამართლიანობის იდეა ქართულ სააზროვნო სივრცეში, ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, N3, 7;

[48] გალდავაძე, ნ., ლომსიანიძე, ე., მოხევიშვილი, თ., & ჭუმბურიძე, ს. (2019). სამართლიანობის იდეა ქართულ სააზროვნო სივრცეში, ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, N3, 8.

[49] გალდავაძე, ნ., ლომსიანიძე, ე., მოხევიშვილი, თ., & ჭუმბურიძე, ს. (2019). სამართლიანობის იდეა ქართულ სააზროვნო სივრცეში, ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, N3, 10-11;

ქმედება ფასდება მის პიროვნულ მახასიათებლებთან ერთად და არასრულწლოვნის უფლებაში ჩარევით სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღება.

პროპორციულობის პრინციპის საკითხს კლასიკური სამართლის სკოლის წარმომადგენელები, მაგალითად, კანტი და ჰეგელი, უკავშირებდნენ სასჯელის თანაზომიერებას დანაშაულის ჩამდენი პირის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილ ქმედებასთან. კანტის მოსაზრებით, სასჯელის არსებობა აუცილებელია, რადგანაც იგი სამართლიანობის მიღწევის ფუნდამენტია, ხოლო სამართლიანობის გარეშე ადამიანი თავის ღირებულებას კარგავს. უფრო მეტიც, კანტს მიაჩნდა, რომ სასჯელი მაშინაც კი უნდა არსებობდეს, როდესაც სახელმწიფო და საზოგადოება აღარ იარსებებს და რომ სამართლიანობის მიღწევა სასჯელის უმთავრესი მიზანია.[50]

იუვენალურ იუსტიციაში არსებული თანაზომიერების პრინციპის მიზანი არასრულწლოვანზე მორგებული გადაწყვეტილების მიღებაა, რომელიც არასრულწლოვნისათვის საუკეთესოთა შორის საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება და ამავდროულად, მართლმსაჯულების მიზნებიც მიიღწევა. ამრიგად, თანაზომიერების პრინციპი ერთგვარად კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებით არასრულწლოვნისათვის საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს, რითაც იკვეთება მისი, როგორც ერთგვარი ლეგიმეტრიული მეთოდის ნაირსახეობად არსებობა იუვენალურ იუსტიციაში.

ლეგიმეტრიაზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ არსებობს შესაძლო და აუცილებელი კვანტიფიკაციის სფეროები და თუ რომელი სამართლის საკითხი, დარგი თუ ინსტიტუცია რომელს მიეკუთვნება, მსჯელობის საგანია. ვინაიდან, თანაზომიერების პრინციპის გარეშე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება არ არსებობს და იგი არასრულწლოვნისა და სახელმწიფოს ინტერსების ერთგვარი „უნდასმიერი“ და „მინდასმიერი“ კუმულაციური კავშირია, შესაბამისად, გამოდის, რომ ლეგიმეტრია სამართლის ის მეთოდია, რომელიც იუვენალურ იუსტიციაში თავისთავად არსებულია. ეს ისაა, რასაც, შეიძლება, მეცნიერული სიმწირის გამო, ამ სფეროში ვერ არქმევდე სახელს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის თავისთავად არსებობს.

ეს კი, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ნიშნავს იმას, რომ როდესაც საკითხს თანაზომიერების პრინციპის კუთხით ვიხილავთ და განვსაზღვრავთ, თუ რამდენად არის არასრულწლოვნის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება არასრულწლოვნის ინტერესებთან და სახელმწიფოს

[50] ცქიტიშვილი, თ., (2019). სასჯელი და მისი შეფარდება, გამომცემლობა „მერდიანი“, 19.

სამართლის პოლიტიკასთან თანხვედრაში, ამით ჩვენ საკითხის შესწავლას ვახდენთ სამართალმზომელეობითი კუთხით და შედეგად ვისახავთ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. თავის მხრივ, ლეგიმეტრია ის ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ყველაზე სწორი გადაწყვეტილების მიღებაა შესაძლებელი. ესაა ერთგვარი „სამართლის მზომელობის“, „სამართლით მზომელობის“ და „სამართლისათვის მზომელობის“ ფორმებში გამოხატული გადაწყვეტილება.[51]

შესაბამისად, გამოდის, რომ ლეგიმეტრიული მეთოდით საკითხის მზომელობის ფუნქცია იუვენალურ იუსტიციაში ბუნებრივად შეთვისებული აქვს თანაზომიერების პრინციპს და სწორედ არასრულწლოვნის „მინდასმიერი“ და „უნდასმიერი“ კრიტერიუმებით იღებს კერძო და საჯარო ინტერესების შეპირიპირებით საუკეთესოთა შორის საუკეთესო გადაწყვეტილებას. აუცილებელი კვანტიფიკაციის საკითხის ერთგვარი დამრეგულირებლის როლი აქვს მორგებული თანაზომიერების პრინციპს და ამ გზით ახორციელებს სამართალმზომელობას.

7. დასკვნა

იუვენალური იუსტიციის განხორციელება არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მაღალი ხარისხით არსებობას გულისხმობს. არასრულწლოვნის მიმართ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობისა და თანაზომიერების პრინციპის დაცვასა და განხორციელებას გულისხმობს. თანაზომიერების პრინციპი ერთგვარი „უნდასმიერი“ და „მინდასმიერი“ გამოხატულებაა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რომ არსებობს იმგვარი სამართლის მეთოდი, როგორიცაა ლეგიმეტრია, საკითხის სამართალმზომელობითი შეფასება, რომლის მიზანიც სამართლიანობის მიღწევაა.

ნაშრომში წარმოჩენილია საკითხის ახლებური ხედვა, რაც გულისხმობს თანაზომიერების პრინციპის აუცილებელი კვანტიფიკაციის კომპონენეტში არსებობას. ეს კი სწორედ იმას ნიშნავს, რომ თანაზომიერების პრინციპი - ესაა ლეგიმეტრიული მეთოდის ანარეკლი, ფაქტობრივად, მისი ინტერესების გამტარებელი და მიზნის მიმღწევი გზა, რაც ლეგიმეტრიას აკისრია.

[51] წირქვაძე, თ., (2022). სასჯელის ლიბერალიზაცია და საპატიმრო სასჯელების ჰუმანიზაცია საქართველოში, ჟურნალი იუსტიცია, N3, 92.

ნაშრომში გამოკვეთილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული ნორმა-პრინციპის - თანაზომიერების არსი და მისი დანიშნულება არასრულწლოვნისათვის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე. ნაჩვენებია, რომ ამ პრინციპის დაცვა გულისხმობს არასრულწლოვნის ქმედებასა და მის პიროვნებასთან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას იმგვარად, რომ არ დაიკარგოს საჯარო ინტერესები, რაშიც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე სახელმწიფოს ადეკვატურ რეაგირება და სამართლებრივი შედეგები იგულისხმება.

თანაზომიერების პრინციპი არსებობს არასრულწლოვანთა მიმართ არსებულ ყველა ნორმასა და ქმედებაში. იგი ერთგვარი სპექტრია, რომელშიც გამავალი სხივები - „უნდასმიერი“ და „მინდასმიერი“ კატეგორიებია, რომლებიც, საბოლოოდ, სამართლიან გადაწყვეტილებად გადმოდინდებიან.

ამრიგად, ნაშრომით ნაჩვენებია, რომ თანაზომიერების პრინციპის საყოველთაოდ არსებული დატვირთვისა და მნიშვნელობის გარდა, იგი ერთგვარად ითავსებს ლეგიმეტრიული მეთოდის ფუნქციას და ნებისმიერ საკითხს სამართალმზომელობის კუთხით იხილავს, რისი მიზანიც სამართლიანობის მიღწევაა.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
2. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი] <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034> [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი]
3. საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=22 [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი]
4. Article 40(4) UN General Assembly, Convention on the Rights of the Child, 20 November 1989 <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-rights-child> [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი]
5. United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (The Beijing Rules), https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/united-nations-standard-minimum-rules-administration-juvenile [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი]

სასამართლო პრაქტიკა

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს №1/2/434 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
3. საქართველოს საკონტიტუციო სასამართლოს საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველოს“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სასამართლოს მეგობრის 2016 წლის 03 ივნისის Nას719 მოსაზრება;
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის №2/5/879 გადაწყვეტილება „ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/1/704 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“;
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივნისის №1გ/924-23 განჩინება.

სამეცნიერო ლიტერატურა

1. გალდავაძე, ნ., ლომსიანიძე, ე., მოხევიშვილი, თ., & ჭუმბურიძე, ს. (2019). სამართლიანობის იდეა ქართულ სააზროვნო სივრცეში, ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, N3;
2. გაბრიჩიძე, გ., თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში, კორკელია, კ., (რედ.) (2006). ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. თბილისი;
3. უგრეხელიძე, მ. (2015). სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა, სამეცნიერო ჟურნალი, ქართული პოლიტიკა, სპეციალური გამოცემა, N21;
4. უგრეხელიძე, მ. (2016). სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა (ლეგიმეტრიის შესავლისათვის) წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი;
5. იზორია, ლ. (რედ.) კორკელია, კ. (2002). ადამიანის უფლებათა შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი. კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში. თბილისი;
6. მეურმიშვილი, ბ. & გურული, პ. (2019). დამნაშავის შეწყალება ქართულ სისხლის სამართალში - გადასინჯვის მცდელობა. სამართალი და მსოფლიო, N11. 20;
7. ოპერმანი, თ., კლასენი, კ., ნეთესჰაიმი, მ., (2021). ევროპული სამართალი. თბილისი;

8. ტუღუში, თ., ბურჯანაძე, გ., მშვენიერაძე, გ., გოცირიძე, გ., მენაბდე, ვ., კოპალეიშვილი, მ. (რედ.) (2013). ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა. თბილისი;
9. ცქიტიშვილი, თ. (2016). სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცის ტენდენციები საქართველოში. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი;
10. ცქიტიშვილი, თ., (2019). სასჯელი და მისი შეფარდება, გამომცემლობა „მერდიანი“, თბილისი;
11. ტურავა, პ. (რედ.). (2013). საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი; <http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf> [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი]
12. წირქვაძე, თ., (2022). სასჯელის ლიბერალიზაცია და საპატიმრო სასჯელების ჰუმანიზაცია საქართველოში, ჟურნალი იუსტიცია, N3;
13. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე <https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/06/file0012.pdf> [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი]
14. Bishop, B. (1998).The Shades of Reality: How The New Fuzzy Philosophy Will Change Your World View. Chapter Ten. Legimetry;
15. Emelonye, U. (2014). Proportionality and Best Interests: Calibrating the Twin Pillars of Child Justice in Nigeria. Doctoral thesis, Helsinki;
16. Matthias, K. (2019). Proportionality and Justification, Herlin-Karnell, E. Klatt, M. (eds.), Morales Zuniga, H A. (assistant ed.), Constitutionalism justified: Rainer Forst in discourse. Oxford University Press;
17. United Nations (2013). Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, New York <https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Justice_Matters_Involving-Web_version.pdf> [ბოლო წვდომის თარიღი: 09 სექტემბერი, 2023 წელი];